2 ივლისის მოლოდინში

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 22 ივნისი.

“დინამო” (კიევი) – “დინამო” (თბილისი) 3:1 (3:1).

კიევი: რუდაკოვი, კონკოვი, მატვიენკო, ბურიაკი, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი (კუზნეცოვი), კოლოტოვი, ვერემეევი, ონიშჩენკო (ფომენკო), ბლოხინი.

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, გავაშელი (გ. მაჩაიძე), ქორიძე, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, ყიფვიანი, წერეთელი (გუცაევი).

მსაჯი: ს. ბელიაევი (მოსკოვი).

დუბლიორები – 2:1.

მტკიცება იმისა, რომ კიევის “დინამო” საბჭოთა ფეხბურთში ახლა უკონკურენტო ლიდერია და რამდენადმე მაინც სერიოზული მეტოქე ჩემპიონობისთვის ბრძოლაში არა ჰყავს, დროის ზედმეტ ხარჯვად მიგვაჩნია. კიეველები, როცა საჭიროა, თამაშობენ მაქსიმალური სიძლიერით, დიდი დატვირთვით და უმაღლესი კლასის თნამედროვე ფეხბურთის დემონსტრაციას ახდენენ. მაგრამ ისინი ზოგჯერ უფლებას აძლევენ საკუთარ თავს დაზოგონ ძალები, გამოავლინონ მხოლოდ ის შესაძლებლობანი, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაშია საჭირო მიზნის მისაღწევად და გამარჯვების მოსაპოვებლად. ეს ნორმად იქცა ჩემპიონებისთვის.

ჩვენი აზრით, ეს ცხადად გამოჩნდა განვლილ მატჩშიც. კიეველებმა პირველი ტაიმი მობილიზებულად, კოლექტიურად, ძლიერად ჩაატარეს, შესვენების შემდეგ კი, როცა თამაში ფაქტიურად მოგებული იყო, უკლეს ტემპს, აუჩქარებელ თამაშზე გადავიდნენ და აუღელვებლად დაამთავრეს კიდევ 2 ქულის აღების საქმე. ორი აზრი მათი უპირატესობის თაობაზე არ შეიძლება არსებობდეს.

რა გზით, რა საშუალებით შეიძლება კიევის “დინამოს” დამარცხება? ეტყობა, საამისოდ საჭიროა საგანგებო განწყობილება, მაქსიმალური ენერგიისა და მონდომების გამოვლენა, დიდი სპორტული თავგანწირვა, გაათკეცებული ძალით ბრძოლა, რათა გუნდს მოუშალო ცალკეული რგოლების ავტომატიზმამდე აყვანილი ურთიერთმოქმედება, საჭიროა ბლოხინის, კოლოტოვის, ონიშჩენკოს, ვერემეევის გამოთიშვა საერთო ანსამბლიდან, ჩვეული სქემიდან.

თბილისელებმა კარგად დაიწყეს თამაში, ერთხანს ბრძოლა თანაბარი იყო, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა პატარა შეცდომა მე–8 წუთზე, როცა მცველებმა ვერ შეძლეს ბურთის ხეირიანად მოგერიება საჯარიმო მოედნიდან, რომ წამით ღიად დარჩენილმა ვერემეევმა მიიღო ზუსტი გადაცემა და ზუსტადვე დაარტყა კარში – 1:0.

ეს გოლი ორიოდე წუთის მერე გაქვითა ყიფვიანმა. საჯარიმო დარტყმა მან იშვიათი ოსტატობით შეასრულა და, თუმცა რუდაკოვი სწორედ იმ მხარეს იყო, სადაც ბურთი გავიდა, იგი უძლური აღმოჩნდა.

ამ პერიოდში, დაახლოებით 12–15 წუთის მანძილზე სტუმრები არა მარტო წარმატებით იგერიებდნენ მეტოქის იერიშებს, არამედ თვითონაც ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მის კართან. კარგად უგებდნენ ერთმანეთს მ. მაჩაიძე და ყიფვიანი, შეტევაში დროულად ერთვოდა კოპალეიშვილი, მაგრამ 25–ე წუთზე მოწოდებული კუთხურისას გოგია დაუკვირვებლად წინ გამოვიდა კარიდან, ვერ მისწვდა ბურთს, ვერც უკან

დაბრუნება მოასწრო და კოლოტოვმა არსებითად ცარიელ კარში გაიტანა მეორე გოლი.

შემდეგ, 35–ე წუთზე, ტროშკინმა მარჯვენა ფრთიდან შორეულ ძელთან გაგზავნა გადაცემა, სადაც უმეთვალყუროდ იყო დარჩენილი ბლოხინი. თავური დარტყმა ნახტომით – 3:1.

მეორე ტაიმში ორივე გუნდი თითქოს შეურიგდა დგომარეობას: კიეველები – ამ ანგარიშით მოგებას, თბილისელები – დამარცხებას და რამდენადმე მაინც ღირსშესანიშნავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სტუმრების კართან შექმნილ ორ–სამ მომენტს, არაფერი მომხდარა.

კიეველებმა დამაჯერებლად, საკმაოდ იოლად მოიგეს მატჩი. ახლა ფეხბურთის მოყვარულნი ინტერესით მოელიან 2 ივლისის მეოთხედფინალურ შეხვედრას, რომელიც თბილისში უნდა შედგეს სსრ კავშირის თასისთვის. შეძლებენ თუ არა თბილისელები პრესტიჟის მატჩის თამაშს?

“ლელო”, 24 ივნისი, 1975 წ.